

# ქალებმა გვასახელეს, ვაჟები კი ჩაფლავდნენ

სოფია, 2 ოქტომბერი. დღეს ბულგარეთში დამთავრდა ფრენბურთელ ვაჟთა (სოფია) და ქალთა (ვარნა) მსოფლიო ჩემპიონატები.

სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ბოლო მატჩში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი დაამარცხა — 3:0 (15:2, 15:11, 15:6). ამრიგად, ოლიმპიურმა ჩემპიონმა — სსრ კავშირის ქალთა ნაკრებმა ყველა მეტოქეს სძლია და თავის „სამსახურებრივ სიას" მსოფლიო ჩემპიონის ტიტული შემატა. აღსანიშნავია, რომ მან მთელი პირველობის მანძილზე მხოლოდ 1 პარტია წააგო.

ასპარეზობის ბოლო დღეს მსოფლიოს ექს-ჩემპიონებმა — იაპონელებმა დაამარცხეს ბულგარელები — 3:0, უნგრელებმა — კუბელები — 3:0, ჩეხოსლოვაკიელებმა — რუმინელები — 3:2. წინადღეს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდმა დაამარცხა კუბის ნაკრები — 3:0, უნგრელებმა მოუგეს ჩეხოსლოვაკიელებს — 3:2, იაპონელებმა — რუმინელებს — 3:0.

მაშ ასე, ქალთა გუნდებს შორის საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. სსრ კავშირი (7 ქულა), 2. იაპონია (6), 3. კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა (4).

ჩემპიონატის ბოლო დღეს სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრები კიდევ ერთხელ დამარცხდა, ამჯერად, ჩეხოსლოვაკიელებთან — 0:3 (8:15, 8:15, 13:15). გდრ-ის ნაკრებმა მოუგო ბულგარეთის გუნდს — 3:2, იაპონელებმა სძლიეს ბელგიელებს — 3:0, პოლონელებმა — რუმინელებს — 3:2. წინადღით გამართული 3 მატჩი ასე დამთავრდა: ჩეხოსლოვაკია — ბელგია 3:0, ბულგარეთი — რუმინეთი 3:0, იაპონია — გდრ 3:2.

გდრ-ისა და ბულგარეთის გუნდებმა 6-6 ქულა დააგროვეს, მაგრამ გერმანელთა ნაკრებს მასპინძლები ჰყავს დამარცხებული, თანაც, პარტიების ბალანსი მათზე უკეთესი აქვს. ამიტომ მსოფლიო ჩემპიონის წოდება გდრ-ის ნაკრებს ხვდა.

II ადგილზეა ბულგარეთის გუნდი, III — იაპონელთა კოლექტივი (5 ქულა).

სსრ კავშირის ნაკრები ჩაფლავდა — მან მხოლოდ VI ადგილი დაიკავა.

• • •

სურათზე: სსრ კავშირის ფრენბურთელ ქალთა ნაკრები. სხედან (მარცხნიდან) — მ. ბატუტიტე, ვ. ლანტრატოვა, ლ. ბულდაკოვა, ი. რისკალი, ლ. მიხაილოვსკაია, გ. ლეონტიევა; დგანან — უფროსი მწვრთნელი გ. ახვლედიანი, რ. სალიხოვა, ლ. ტიურინა, ტ. სარიჩევა, ვ. გალუშკო-დუიუნოვა, ნ. სმოლეევა, ტ. პონიაევა-ტრეტიაკოვა, მწვრთნელი ვ. ტიურინი.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საკდესი).

### საბოლოო ცხრილები

#### ქალები

| | მ. | წ. | პ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 7 | 0 | 21—1 | 7 |
| იაპონია | 6 | 1 | 19—5 | 6 |
| კსდრ | 4 | 3 | 14—11 | 4 |
| უნგრეთი | 4 | 3 | 15—13 | 4 |
| ჩეხოსლოვაკია | 3 | 4 | 12—17 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 4 | 10—15 | 3 |
| რუმინეთი | 1 | 6 | 8—19 | 1 |
| კუბა | 0 | 7 | 3—21 | 0 |

#### ვაჟები

| | მ. | წ. | პ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| გდრ | 6 | 1 | 20—6 | 6 |
| ბულგარეთი | 6 | 1 | 20—7 | 6 |
| იაპონია | 5 | 2 | 18—8 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 4 | 3 | 13—12 | 4 |
| პოლონეთი | 3 | 4 | 12—16 | 3 |
| სსრ კავშირი | 2 | 5 | 10—16 | 2 |
| რუმინეთი | 2 | 5 | 9—18 | 2 |
| ბელგია | 0 | 7 | 2—21 | 0 |

## როცა გაზეთი დასაბეჭდად გზად იყო...

◆ რიო-დე-ჟანეირო, 3 ოქტომბერი. მსოფლიოს 1958 და 1962 წლების ჩემპიონატების გმირი, სახელგანთქმული ბრაზილიელი ფეხბურთელი გარინჩა (მანოელ ფრანსისკო დოს სანტოსი) ახალ ამპლუაში წარმოგვიდგა: იგი ევროპაში მიემგზავრება ბრაზილიის... ყავის ინსტიტუტის წარმომადგენლად. ამ დღეებში იგი კონტრაქტს მოაწერს ხელს და იტალიაში მიფრინავს, რათა ევროპის ქვეყნებში ბრაზილიურ ყავას პროპაგანდა გაუწიოს. როგორც ცნობილია, მძიმე ტრავმის შემდეგ გარინჩა დიდხანს უმუშევრად იყო — პროფესიული საფეხბურთო კლუბების მესვეურნი არ ჩქარობდნენ მის მიწვევას. დანაზოგი ფული თვალსა და ხელს შუა ელეოდა და გარინჩა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა. აი, ამ დროს ყავის ინსტიტუტმა დახმარების ხელი გაუწოდა ფეხბურთის ყოფილ ვარსკვლავს. მაგრამ გარინჩა მწვანე მინდორზე დაბრუნების იმედს მაინც არ კარგავს. მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იტალიის I ლიგის ერთ-ერთმა კლუბმა უკვე შესთავაზა კონტრაქტი.

## ახალი ამბები

● მალმე, 2 ოქტომბერი. კონტინენტის უძლიერესმა ბადროს მტყორცნელმა რ. ბრუხმა აქ მსოფლიო რეკორდზე მიიტანა იერიში, მაგრამ მისი ცდა უნაყოფოდ დამთავრდა, თუმცა, ბრუხმა საერთაშორისო კლასის შედეგი მაინც აჩვენა — 66,14 მ.

ხარკოვი, 2 ოქტომბერი. 226 კმ საათში — [illegible] ფის ავიასპორტკლუბის აეროდრომზე ასეთი [illegible] განავითარა რადიოთი სამართავი თვითმფრინავის მოდელმა, რომელიც ინჟინრებმა ვ. სოკოლიანსკიმ და ბ. პანცენკერმა შექმნეს. მოდელი დაახლოებით 2 კილოგრამს იწონის, თვითმფრინავის გაშლილი ფრთების სიგანე 1100 მილიმეტრია. მისი შიდაწვის მიკროძრავა 10 კბ სმ ცილინდრის მოცულობით ყველაზე მძლავრია ამ კლასის მოდელებისთვის.

ქვეყნის ძველი რეკორდი, რომელიც შარშან ყაზანელმა გ. გავრიუშენკოვმა დაამყარა, 11 კილომეტრითაა გაუმჯობესებული.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 195 (4189)

1970 წ. 4 ოქტომბერი, კვირა. ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# 30 წლისაა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1940 წლის 2 ოქტომბრის ბრძანებულებით შეიქმნა კვალიფიციურ მუშათა მომზადებისა და განაწილების ერთიანი სისტემა — სახელმწიფო შრომითი რეზერვები. მას შემდეგ ამ ორგანიზაციამ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგს 25 მილიონი კვალიფიციური მუშა აღუზარდა.

ახალი ტიპის სასწავლო დაწესებულებებში აღიზარდა ასობით ჭაბუკი და ქალიშვილი, რომლებმაც შემდეგ თავი გამოიჩინეს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, სამამულო ომში. საფაბრიკო-საქარხნო და სახელოსნო სასწავლებლებში სწავლობდნენ საბჭოთა კავშირის გმირები, კოსმონავტი მფრინავები ი. გაგარინი და პ. პოპოვიჩი, სამამულო ომის გმირი ი. სმირნოვი, სოციალისტური შრომის გმირი, ლენინური პრემიის ლაურეატი ტ. ახუნოვა, სოციალისტური შრომის გმირი შ. ფირცხალავა, ლენინური პრემიის ლაურეატი პ. წერეთელი და ბევრი სხვა.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში ახალგაზრდების ფიზიკურ აღზრდასაც დიდი ყურადღება ეთმობა. ეს საკითხი სამამულო ომის დღეებში, 1948 წელს შექმნილ სპორტსაზოგადოება „შრომით რეზერვებს" აბარია.

„შრომითი რეზერვების" სპორტსმენებმა ამ ხნის მანძილზე დიდი წარმატებები მოიპოვეს რესპუბლიკურ, საკავშირო და საერთაშორისო სარბიელზე. ამ საზოგადოებაში აღიზარდა ასობით მსოფლიოს, ევროპის, ოლიმპიური თამაშების, სსრ კავშირის ჩემპიონი და რეკორდსმენი, ათასობით მაღალი თანრიგის სპორტსმენი, მთ კომპლექსის მილიონობით ნიშნოსანი.

„შრომითი რეზერვების" რიგებშია ოლიმპიური თამაშების 15 ჩემპიონი და პრიზიორი, 84 მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, 800-მდე სსრ კავშირის ჩემპიონი და პრიზიორი. დავასახელოთ, მაგალითად, ტყვიის მსროლელი ა. ბოგდანოვი, მოკრივე ვ. ენგიბარიანი, მოჭიდავე მ. ცალქალამანიძე...

ამ სისტემის სასწავლებლებმა საქართველოში იმთავითვე ნაყოფიერი საქმიანობა გაშალეს და სახალხო მეურნეობას უკვე 200 ათასზე მეტი სპეციალისტი მისცეს. მუშათა კვალიფიციური კადრების აღზრდას ათასობით ინჟინერ-პედაგოგი, საწარმოო სწავლების ოსტატი, მასწავლებელი, აღმზრდელი ემსახურება. მათგან 111 კაცს, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, მინიჭებული აქვს საპატიო წოდება, 44 კი სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებითაა დაჯილდოებული.

საქართველოს „შრომითი რეზერვების" ფიზკულტურელთა განკარგულებაშია შესანიშნავი ბაზები, ჰყავთ ძლიერი სპორტსმენები, სათანადო დონეზე დგას მასობრივ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა. ამიტომაცაა, რომ ცენტრალური საბჭოს მიერ გამოცხადებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლები მუდამ პრიზიორები არიან. მ. თოიძის სახელობის № 11 პროფტექსასწავლებლის ფიზკულტურული ორგანიზაცია სსრ კავშირში „შრომითი რეზერვების" ერთ-ერთ საუკეთესო კოლექტივად ითვლება.

საქართველოს პროფტექსასწავლებლების მუშა-მოსამსახურეებმა, პედაგოგებმა, მოსწავლეებმა ზეიმით აღნიშნეს პროფტექნიკური განათლების სისტემის 30 წლისთავი. ფიზკულტურელებმა ამ ზეიმს ასობით ღონისძიება მიუძღვნეს. გუშინწინ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თაოსნობით ლენინის მოედანზე სტარტი მიეცა კიდევ ერთ ღონისძიებას — საავიტაციო მოტოგადარბენას — საქართველოს რკალს. გადარბენაში 20 სპორტსმენი მონაწილეობს. ისინი „შრომითი რეზერვების" დროშებით მორთული მოტოციკლებით გაივლიან გზას ასეთი მარშრუტით: თბილისი—გორი—ონი — ქუთაისი — სოხუმი — ფოთი — ბათუმი — ახალციხე — თბილისი.

## ფეხბურთი

### გუშინ...

თბილისის „ლოკომოტივის" სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ა" კლასის I ჯგუფის გუნდებს შორის. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა" მიიღო ვილნიუსის „ჟალგირისი". გაიმარჯვეს სტუმრებმა — 1:0.

## როცა გაზეთი დასაბეჭდად გზად იყო... 19$^{45}$

◆ ვარშავა, 3 ოქტომბერი. 1970 წლის მშვიდობის ველორბოლაში გამარჯვებული რ. შურკოვსკი გულშემატკივართა გამოკითხვის შედეგად (ანკეტა ჩაატარეს პოლონეთის ველოკავშირმა და გაზეთმა „შტანდარ მლოდიხმა") „გზატკეცილების ტიტანადაა" აღიარებული. ეს მყვირალა ტიტული შურკოვსკიმ მიიღო, როგორც ყველაზე პოპულარულმა პოლონელმა ველომრბოლელმა უკანასკნელი 50 წლის მანძილზე.

## სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში

# მთავარი ბრძოლა დაიწყო

გუშინწინ მოსკოვის სტადიონებზე დაიწყო სსრ კავშირის რეგბისტთა ჩემპიონატის ფინალური შეხვედრები. საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში ჩაებნენ სსრ კავშირის შარშანდელი ჩემპიონი — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის, თბილისის „ლოკომოტივის", „დინამოს", „ფილისა" და „ავტომობილისტის" (ყველა — მოსკოვი), კიევის „დინამოსა" და ლენინგრადის „ბურევესტნიკის" კოლექტივები.

ჩვენმა სპეციალურმა კორესპონდენტმა რ. აიწურაძემ მოსკოვიდან გადმოგვცა ფინალის პირველი დღის შეხვედრათა ანგარიში.

### შესუსტებული შემადგენლობით

მოსკოვი. ცსკა-ს სტადიონი. 2 ოქტომბერი.

სამხედრო-საჰაერო აკადემია — „ლოკომოტივი" 22:6 (3:6).

სამხედრო-საჰაერო აკადემია: კოროლიოვი, შეუჩალოვი, ნაპონოვი, ალიოშინი, პეტრენკო, სიმენიხინი, მიკალოვი, კულიკოვი, ფედინი, ანტონოვი, ტიხომიროვი, ჟერებკოვი, ბაიდუგანოვი, სამოზვანცევი, გრაჩოვი.

„ლოკომოტივი": ბენიაშვილი (მოდებაძე), აიწურაძე, ფეტვიაშვილი, სანებლიძე, დავითაია, თეიმურაზ რუხაძე, ყიფიანი, ნაცვლიშვილი, ხარშილაძე, კიზირია, გეგეშიძე, მიქაბერიძე, ფურცელაძე, კორნევი, თენგიზ რუხაძე (დედაბრიშვილი).

მსაჯი ტროფიმენკო (კიევი).

სსრ კავშირის ჩემპიონთან თამაში თბილისელებს შესუსტებული შემადგენლობით მოუხდათ. საქმე ის გახლავთ, რომ რეგბის საკავშირო ფედერაციამ ამ დღეებში განიხილა თბილისის არმიელთა სპორტკლუბის სტადიონზე საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალურ ტურნირში „ლოკომოტივისა" და მოსკოვის „ფილის" შეხვედრისას მომხდარი ინციდენტი. ფედერაციამ ამ მატჩის მსაჯს ვ. საცკოვს (რსფსრ) არაობიექტურობისა და შეცდომებისთვის უსაყვედურა და გაფრთხილებაც მისცა, თბილისელი რეგბისტები კი უფრო მკაცრად დასაჯა: გოგორიშვილსა და კაპანაძეს მიეცათ დისკვალიფიკაცია წლის ბოლომდე, კირტავას — ერთი მატჩით.

ამრიგად, „ლოკომოტივს" პირველივე შეხვედრაში სამი წამყვანი სპორტსმენი აკლდა. მატჩის დასაწყისშივე ბურთს მოსკოველთა მოთამაშე-მწვრთნელი ანტონოვი დაეუფლა და ძლიერი დარტყმით ჩაკიდა იგი თბილისელთა ნახევრის მარცხენა ფლანგზე. იქ ბურთი კიზირიამ იგდო ხელთ, მაგრამ შემდეგ მოსკოველებს „გადაულოცა". გადაცემა პეტრენკომ მიიღო, „ლოკომოტივის" ჩათვლის მოედანში შეიჭრა და ბურთი მიწაზე დადო — 3:0.

უხეირო დასაწყისმა თბილისელები ვერ დააბნია. ისინი თანდათან დაეუფლნენ ინიციატივას და 10 წუთის შემდეგ ანგარიშიც გაათანაბრეს. მოედნის ცენტრში გათამაშებული კომბინაციის შემდეგ ბურთი ხარშილაძეს გადააწოდეს. ფლანგზე გაჭრილი თბილისელის შესაჩერებლად სამი მოსკოველი გაეშურა. ხარშილაძემ ბურთი მიაწოდა უმეთვალყუროდ დარჩენილ თეიმურაზ რუხაძეს, რომელიც მეტოქის ჩათვლის მოედანში შევიდა — 3:3. მერე კიზირიამ რეალიზაცია ვერ გამოიყენა.

რკინიგზელები მეტოქეს აშკარად სჯობდნენ. ისინი მოსკოველების მოედანზე „დასახლდნენ" და მე-14 წუთზე კიდევ იმარჯვეს. გეგეშიძე — ფურცელაძის იერიში მასპინძლებმა აკრძალული ილეთით ჩაშალეს, რისთვისაც მსაჯმა საჯარიმო დანიშნა. კიზირიამ ანგარიში გაზარდა — 6:3.

შესვენებამდე თბილისელებს კარის აღების კიდევ ორი ნაღდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ ამაოდ.

მეორე ტაიმში ინიციატივას დიდხანს ისევ რკინიგზელები ფლობდნენ, მაგრამ მერე დაღლა დაეტყოთ და დაცვაში გადავიდნენ, რაც დიდი შეცდომა იყო. მოსკოველებმა თბილისელთა კარს ზედიზედ შეუტიეს და საბოლოოდ გაიმარჯვეს კიდეც.

• • •

კიევის „დინამოსა" და „ავტომობილისტის" შეხვედრაში მოსკოველები დაწინაურდნენ (6:0), მაგრამ მაინც დამარცხდნენ — 6:15. საავიაციო ინსტიტუტის გუნდმა მოუგო „ბურევესტნიკს" — 14:9, „ფილიმ" — მოსკოვის „დინამოს" — 15:12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი

## სპარტაკიადებისთვის მზადება

# ემბლემის გამო







სსრ კავშირის დროშა. სპორტსმენი ქალი და ვაჟი საფინიშო ზონარს სავაა მკერდით შეეხებიან. რომაული V, და წარწერა: „სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადა". ხარბენი ბილიკის კონტურები — ასეთია ოფიციალური ემბლემა სსრ კავშირის ხალხთა მორიგი, V სპარტაკიადისა, რომლის სტარტებიც უკვე დაიწყო.

უნებურად გვაგონდება I სპარტაკიადა. მისი ემბლემა ბევრად განსხვავდებოდა ამჟამინდელისგან. არ ჩანდა დინამიკა, მეტისმეტად პროზაული და მშვიდი სახეები ჰქონდათ სპორტსმენებს. მაგრამ ის ემბლემა სამუდამოდ ჩარჩა მეხსიერებაში არა მარტო ამ პირველი დიდი ფორუმის მილიონობით მონაწილეს, არამედ ყველა მაყურებელს, გულშემატკივარს, სპორტის მოყვარულს. ის ემბლემა სპარტაკიადის პირველ სტარტებამდე დიდი ხნით ადრე შემოიჭრა ჩვენს ცხოვრებაში. მას ვხედავდით ლამაზ პლაკატებზე და პროგრამების ფურცლებზე. ჟურნალმა „ფიზკულტურა ი სპორტმა" დიდი ხნით ადრე გააცნო იგი მილიონობით მკითხველს. ამავე ჟურნალის ფურცლებზე გაიცნეს სპორტის მოყვარულებმა სპარტაკიადის მონაწილეთა, მსაჯების, მწვრთნელების, სტუმრების ყველა ოფიციალური ნიშანი.

სუვენირების მოყვარულებს ახალი საზრუნავი გაუჩნდათ. სპარტაკიადის ემბლემებით ყველა ეტაპის მონაწილენი იმშვენებდნენ მკერდს, თუმცა იცოდნენ, რომ ლუჟნიკის სტადიონზე გამოსვლის უფლებას მხოლოდ რჩეულები მიიღებდნენ. მაგრამ ეს იყო ლამაზი სპორტული რომანტიკა — საამქროებს შორის გამართული ყველა შეჯიბრებაც კი დიდი მოვლენის ნაწილი გახლდათ.

გვახსენდება, რა საზეიმოდ იყო მორთული I სპარტაკიადის დღეებში — 1956 წელს — სტადიონები, პარკები, ბაღები, სპორტული მოედნები. ერთი სიტყვით, მთავარი მიზანი ის იყო, რომ სპარტაკიადის იდეა ყველა საბჭოთა ადამიანისთვის მისაწვდომი გამხდარიყო.

მე და ჩემს ამხანაგებს არასოდეს დაგვავიწყდება 1956 წლის 5 აგვისტო — დღე, როცა ლუჟნიკში, ვ. ი. ლენინის სახელობის ახალ სტადიონზე სპარტაკიადის გახსნა მოეწყო. ეს გახლდათ ჭეშმარიტად დიდი ზეიმი — მიზანი მიღწეული იყო.

... გავიდა წლები. ჩატარდა სსრ კავშირის ხალხთა II, III და IV სპარტაკიადები. ამ დიდ შეჯიბრებებს შორის გაიმართა სსრ კავშირის პროფკავშირების VII, VIII, IX სპარტაკიადები, რომლებიც თავისებურ უვერტიურად, დათვალიერებად, გენერალურ რეპეტიციებად იქცნენ.

შემდეგ კვლავ იყო ბრძოლა ქულებისა და მედლებისთვის, თასებისა და ვიმპელებისთვის, მასობრიობისა და ოსტატობისთვის, კვლავ გამოდიოდნენ სტარტზე მილიონები.

ოღონდ ეს ყველაფერი თითქოს მოსაწყენი გახდა. გაქრა სამახსოვრო სუვენირები, სამკერდე ნიშნები და ემბლემები. რაც შეეხება პლაკატებსა და აფიშებს, ეს მხოლოდ ხალხთა ბოლო ორი სპარტაკიადის ფინალების შემდეგ გამოჩნდა.

პროფკავშირთა V რესპუბლიკურ სპარტაკიადას გახსნის დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე თავისი ემბლემა არ ჰქონდა. ეს ემბლემა არც რესპუბლიკის დედაქალაქის სხვა სპორტულ ბაზებზე ჩანდა.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ემბლემა ყოველი მოვლენის შეჯიბრების, გამოფენის, ბაზრობის, კინოფესტივალის მთავარი სიმბოლოა. პირველ ყოვლისა იგი იზიდავს მკითხველს, მაყურებელს, დამთვალიერებელს.

ახლა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადას დავუბრუნდეთ. სპორტის ეს ფორუმი 1971 წელს ჩატარდება, მაგრამ მან უკვე აიღო სტარტი სკოლებში, ტექნიკუმებში, უმაღლეს სასწავლებლებში, ფიზკულტურის კოლექტივებსა და სპორტულ კლუბებში. ბევრმა უკვე დაამთავრა შეჯიბრება. მაგრამ რა მიიღეს გამარჯვებულებმა? სამახსოვრო ნიშნები? სპეციალური სიგელები? იქნებ ემბლემით დამშვენებული ბილეთი, რომელიც სპარტაკიადაში ამა თუ იმ სპორტსმენის მონაწილეობას დაადასტურებდა? სამწუხაროდ, ბევრი ფიზკულტურელი სტარტზე ისე გამოდის, არც იცის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის მონაწილეა.

სპორტული ბაზები ლოზუნგებით, აფიშებითა და ტრანსპარანტებით არ მოურთავთ. გამარჯვებულებისთვის მედლები არ დაუმზადებიათ (ამ მხრივ გამონაკლისია მხოლოდ თბილისი). პრესის ფურცლებზე ჯერ კიდევ არ ჩანს 1971 წლის რესპუბლიკური სპარტაკიადის ემბლემა. არავინ იცის, რით დააჯილდოებენ ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულებსა და პრიზიორებს (სხვათა შორის, ჩვენ რესპუბლიკურ ასპარეზობათა ჩემპიონისა და პრიზიორის ჟეტონებიც კი არა გვაქვს).

არ გვეგულება სპორტსმენი, რომელსაც არ გაახარებდა ჩემპიონის მედალი, თანრიგოსნის, სპორტის ოსტატის, უბრალოდ, შეჯიბრების მონაწილის სამკერდე ნიშანი.

ახლა, როცა დიდი მოსამზადებელი საქმიანობაა გაჩაღებული სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის, ამ დიდი ასპარეზობის იდეის თვალსაჩინო აგიტაცია და პროპაგანდა ერთ-ერთი უძლიერესი საშუალებაა დასახული ამოცანის გადაწყვეტისთვის.

მაშ, მოდით დავამშვენოთ ასპარეზობა ემბლემით, რომელზეც ამ წერილის დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი.

საქმის ორგანიზატორებმა და ხელმძღვანელებმა სცადონ გამონახონ რაც შეიძლება უკეთესი და მეტყველი გზები სპარტაკიადის იდეის პროპაგანდისთვის.

ნათელი სპორტული საყოველთაოსახალხო დღესასწაული ყოველ საბჭოთა ოჯახს უნდა ესტუმროს.

**ბ. კოვალიოვი.**

# საუკეთესო პირობების მიუხედავად

თბილისის მძლეოსანთა პირადგუნდურ ჩემპიონატში სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების გუნდებს უნდა ესასპარეზათ. ეს ღონისძიება მიზნად ისახავდა საზოგადოებების მიერ გაწეული მუშაობის შემოწმებასა და სსრ კავშირის თასის — „იზვესტიის" პრიზის გათამაშების მეოთხედფინალისთვის ნაკრები გუნდის წევრების შერჩევას. ამიტომაც მოსალოდნელი იყო, რომ შეჯიბრებას ყველა უწყება და საზოგადოება გულისხმიერად მოეკიდებოდა, სარბიელზე საუკეთესო ძალებით გამოვიდოდა.

სინამდვილეში ასე არ მოხდა. ვერ ვუსაყვედურებთ მხოლოდ „ბურევესტნიკს", სხვა საზოგადოებებმა კი სრული გუნდები ვერ გამოიყვანეს. არც სპორტსმენები იყვნენ სათანადოდ მომზადებული. ზოგიერთ სახეობაში სულ ორი-სამი კაცი გამოვიდა სტარტზე, შედეგებზე კი საერთოდ ლაპარაკიც არ ღირს.

ტურნირში „ბურევესტნიკის", „სპარტაკის", „დინამოს", არმიელთა სპორტკლუბისა და „ლოკომოტივის" გუნდები ჩაებნენ („განთიადმა" თავისი საუწყებო პირველობა სწორედ იმ პერიოდში ბათუმში ჩაატარა). „შრომითი რეზერვებიდან" გუნდი არ გამოუგზავნიათ.

სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადამდე წელიწადი აღარც დარჩა, საქართველოს მძლეოსნები კი შედეგებს აუარესებენ. ეს მოწმობს, რომ სპორტსმენებიცა და მათი მწვრთნელებიც გულგრილად ეკიდებიან საქმეს, განსაკუთრებით ის გვაფიქრებს, რომ კარგ შედეგებს ვერც საქართველოს ნაკრების წევრებმა მიაღწიეს, თუმცა წლეულს მათ სათანადო წვრთნისთვის ყველა პირობა ჰქონდათ შექმნილი.

შეჯიბრება გაახალისა მხოლოდ გ. სტარიჩკოვის („ლოკომოტივი") რესპუბლიკურმა რეკორდმა (3.48,3) 1500 მეტრზე რბენაში და ლ. ტუღუშის („დინამო") ოსტატურმა შედეგმა (51,89 მ) ბადროს ტყორცნაში.

ვერც ლ. გუკსა („ბურევესტნიკი") და ჯ. ფხაკაძეს („დინამო") დავემდურებით. ეს სპორტსმენები შედეგებს წლეულს თითქმის ყოველ შეჯიბრებაში აუმჯობესებენ და ახლაც კარგად იასპარეზეს: გუკი 165 სმ სიმაღლეზე გადახტა, ფხაკაძის ურო კი 61,90 მეტრზე დაეცა.

მეტს ველოდით გ. გუდაშვილისა და ქ. გორძამაშვილისგან (ორივე — „დინამო"). ბადროს ტყორცნაში სსრ კავშირის რეკორდსმენი გუდაშვილი ბმჯერად 54,69 მეტრს დასჯერდა, გორძამაშვილის შედეგი კი ამ სპორტსმენის საუკეთესო მაჩვენებელს თითქმის 10 მეტრით ჩამოუვარდებოდა (73,70 მ). სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგები აჩვენეს: ლ. დარახველიძემ („სპარტაკი") სამხტომში — 15,71 მ, და დ. საბაურმა („ბურევესტნიკი") შუბის ტყორცნაში — 49,42 მ.

24 მონაწილემ ბრძოლა I თანრიგის შედეგებით დაამთავრა.

შეჯიბრება ღარიბი იყო ძლიერი სპორტსმენებით. ამას გარდა, სიმაღლეზე ხტომაში მხოლოდ ერთი ქალი (გუკი) ასპარეზობდა, 100 მეტრზე თარჯრბენის სტარტზე მარტო რ. ჩუბინიძე („ბურევესტნიკი" — 15,3) გამოვიდა, 400 მეტრზე რბენაში გამარჯვებისთვის ლ. კორკოტაძე (1.05,0) და ვ. იაკოვლევა (ორივე — „ბურევესტნიკი" — 1.09,2) იბრძოდნენ, შუბის ტყორცნაში — საბაური და გ. ხევსურიშვილი, 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში — ა. მიქოიანი („ბურევესტნიკი" — 9.25,0), ბირთვის კვრაში, ჭოკით ხტომაში, 200 მეტრზე მორბენალ ქალთა შეჯიბრებაში, ათჭიდში 3-3 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე. ამასთან, ათჭიდელებმა მეათე სახეობაში — 1500 მეტრზე რბენაში შეჯიბრებაზე უარი თქვეს (!).

მძლეოსნობის განვითარებას ყველა სპორტსაზოგადოება ერთნაირ ყურადღებას რომ არ უთმობს, ამას ისიც ადასტურებს, რომ „ბურევესტნიკმა" 586 ქულა მოაგროვა, II ადგილზე გასულმა „სპარტაკმა" — 212, მესამე პრიზიორმა „დინამომ" — 205, „ლოკომოტივმა" კი მხოლოდ 87 ქულა მიიღო და ბოლო ადგილს დასჯერდა.

**რ. გოგეშვილი,**
**სპორტის ოსტატი.**

4 ოქტომბერი მასწავლებლის დღეა

# „...უბრალო მასწავლებელი ვარ"

**ამ დღეებში გაზეთში გამოქვეყნდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემის მუშაკთა ერთი ნაწილის პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ. დაჯილდოებულთა შორის არის თბილისის № 5 პროფტექნიკური სასწავლებლის ფიზკულტურის მასწავლებელი დ. კეველიშვილიც.**

დიმიტრი კეველიშვილი ერთ-ერთი მათგანია, ვინც პირველი ხნული გაავლო რესპუბლიკის სპორტულ ყამირზე. იგი საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის პირველი გამოშვების კურსდამთავრებული იყო.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ დიმიტრიმ ორ წელიწადს იმუშავა ფიზკულტურის მასწავლებლად თბილისის ი. ჭავჭავაძის სახელობის მე-3 (დღევანდელი 23-ე) სკოლაში. მერე ახალწვეულთა წვრთნა დაიწყო — იგი ხომ თადარიგის ოფიცერი იყო. ჯარისკაცების კარგი ფიზიკური მომზადებისთვის ერთხელ სამი დღით შვებულება მისცეს. მაგრამ შვებულება გასული არ იყო, რომ ომიც დაიწყო.

ლეიტენანტი კეველიშვილი მთელი ომის მანძილზე ცალკეული გარნიზონის უფროსი იყო. მისი მონაწილეობით გერმანელ დამპყრობთაგან გათავისუფლდა ვიაზმა, ლიუბლინი და ბევრი სხვა ქალაქი. მაგრამ მთელი ომის მანძილზე ახალგაზრდა ლეიტენანტი ოცნებობდა მასწავლებლობაზე და ეს ოცნება მხოლოდ 1948 წელს აუხდა.

და აი, აგერ უკვე 22 წელია იგი თბილისის № 5 პროფტექნიკურ სასწავლებელში მუშაობს. დიმიტრის ჯერ კიდევ მაშინ ეძახდნენ „ფიზორგს", როცა 13 წლის ბიჭი იყო და საჩხერეში ცხოვრობდა, სწორედ მან მოიფიქრა, რომ მიწაში ორი ბოძი ჩაესო, ღერძი გაეკეთებინა და ტანვარჯიშული სექციის გახსნა გამოეცხადებინა.

ამბობენ, მასწავლებელი მოწაფეში მეორდებაო. შეიძლება ამიტომაც იყო, რომ ასეთივე თაოსანი გამოდგა დიმიტრის აღზრდილი, თელაველი ჭაბუკი გ. ლევაშვილი. იგი თავისუფალ ჭიდაობაში მესამეთანრიგოსანი იყო, მერე კი პროფტექგანათლების სისტემის მოსწავლეთა V საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა. კარგი ამწყობი ზეინკალი იყო, ახლა კი ფიზკულტურის ინსტიტუტის მწვრთნელთა სკოლის სტუდენტია. ისევე როგორც დიმიტრისთვის, მისი შეგირდისთვისაც სპორტი მთავარი გატაცებაა.

ძველი ბერძნები ადამიანის სიბრიყვის დასახასიათებლად ამბობდნენ: არც წერა-კითხვა იცის, არც ცურვაო. № 5 პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებმა წერა-კითხვა იცოდნენ, ცურვაში კი ბევრით ვერაფრით დაიტრაბახებდნენ. და აი, დიმიტრიმ თავის მოწაფეებთან ერთად ააგო საცურაო აუზი. მერე რა, რომ ამ ბაზის ფართობი ძალიან პატარა იყო (15 × 6 მ). სამაგიეროდ, დიმიტრიმ ბევრ თავის მოწაფეს ასწავლა კარგად ცურვა. შემდეგ პატარა სპორტდარბაზის აგებაც გადაწყვიტეს. დიმიტრის სურდა ყველა თავისი მოწაფისთვის შეეყვარებინა სპორტი. ე. გიუნაშვილი მან მიიყვანა მძლეოსნურ სექციაში, ახლა კი იგი საწარმოო სწავლების ოსტატიცაა და მწვრთნელიც — 15 კაცს ამეცადინებს მძლეოსნობაში.

დიმიტრი შინაც ეწევა სპორტის პროპაგანდას. მისი უფროსი ვაჟი ომარი კარგი ხელბურთელი იყო, ვასილი კი „სპარტაკის" რესპუბლიკური საბჭოს რაგბისტთა გუნდის მწვრთნელი და რაგბის საკავშირო ფედერაციის წევრია.

1968 წელს დიმიტრის საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიენიჭა. მას მიზნად არ ჰქონია უმაღლესი კვალიფიკაციის სპორტსმენთა აღზრდა — სურდა გაეზარდა კარგი, ყოველმხრივ სრულყოფილი, სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანები. დიმიტრის აღზრდილთა შორის მარტო კარგი ფიზკულტურელები როდი არიან. დავასახელოთ, მაგალითად, კინორეჟისორი რ. ჩხეიძე, მფრინავი ვ. ნანუაშვილი, ექიმი თ. გუგუნავა...

სამი წელია დიმიტრი პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარეა და ამ მოვალეობასაც პირნათლად ასრულებს. რაკი ამდენს ავალებენ, ალბათ ენდობიან ამხანაგები, ენდობა სასწავლებლის დირექტორი პ. ლიპარტია.

თვითონ დიმიტრი მოკრძალებით იღებს ყველა მადლობას და ქების სიტყვას. ასევე მოკრძალებით მოგიგებთ: რაც შემიძლია, თავს არ ვზოგავ, უბრალო მასწავლებელი ვარო.

**მ. ბუკინი.**

სსრ კავშირის პირველობა







# კლუს 2 ქულა

გუშინწინ რუსთავში ერთმანეთს შეხვდნენ „ბ" კლასის II ზონის I ქვეჯგუფის ლიდერი — ადგილობრივი „მეტალურგი" და მახარაძის „მერცხალი". მეტოქეებმა თავიდანვე უშეღავათო ბრძოლა გააჩაღეს, მაგრამ თანდათან გამოიკვეთა მასპინძელთა უპირატესობა. ბურთს მეტწილად ისინი ფლობდნენ და თუ შესვენებამდე რუსთაველებმა გოლი ვერ გაიტანეს, ეს უპირველეს ყოვლისა თავდამსხმელების უზუსტო დარტყმებს უნდა მივაწეროთ. გარდა ამისა, „მერცხალის" მეკარე ჩემინავამაც ისახელა თავი.

შესვენების შემდეგ მასპინძლები კიდევ უფრო გააქტიურდნენ და თამაში ძირითადად „მერცხალის" კარის მისადგომებთან მიმდინარეობდა. საგოლე მომენტებიც ხშირი იყო, მაგრამ 66-ე წუთამდე მათ ნაყოფი არ გამოუღიათ. 66-ე წუთზე კი ანგარიში გაიხსნა: „მეტალურგის" ნახევარმცველი წიკლაური კარგად შეიჭრა სტუმრების საჯარიმო მოედანში და ძლიერად დაარტყა, მაგრამ ბურთი ხელში მოხვდა მცველს. 11-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად დაარტყა ხვედელიძემ — 1:0.

3 წუთის შემდეგ სტუმრებმა მასპინძელთა კართან ერთადერთი აშკარა საგოლე მომენტი შექმნეს, მაგრამ წიკლაურმა ზედ კარის ხაზიდან შეძლო ბურთის გამოტანა.

78-ე წუთზე მასპინძლებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და ძაძამიძემ შორიდან მოულოდნელი დარტყმით გაზარდა ანგარიში — 2:0.

ამრიგად, ლიდერმა თავის აქტივს 2 ქულა დაუმატა.

**რ. ბაბრიშიძე.**
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).
რუსთავი.

## ნიკო ლორთქიფანიძის დაბადების 90 წლისთავის გამო

40-ანი წლების თბილისის მკვიდრთ არ შეიძლება არ ახსოვდეთ რუსთაველის გამზირზე მოსეირნე გამხდარი კაცი, რომელიც თავისი განუყრელი პენსნეთი და ხელჯოხით დინჯად მიაბიჯებდა ჭადრებით დაბურულ ხეივანში. დაკვირვებული თვალი იმასაც შეამჩნევდა, თუ რა მოწიწებით ესალმებოდნენ მას ნაცნობები. ეს კაცი ნიკო ლორთქიფანიძე გახლდათ.

ძნელია საქართველოში მოიძებნოს ლიტერატურით დაინტერესებული პიროვნება, რომელზეც ნიკო ლორთქიფანიძის ნაწერებს წარუშლელი შთაბეჭდილება არ მოეხდინოს. ღრმა აზრებისა და გრძნობების ხაოცრად ლაკონიურად გადმოცემის ბრწყინვალე უნარი, ქართული ენის დაუშრეტელი მარაგის განსაცვიფრებელი ფლობა, უაღრესად დახვეწილი გემოვნება — აი, მისი მწერლური ხელწერის არასრული დახასიათება.

ქართველი კაცის ცხოვრების რა სფეროს არ შეხებია ნიკო ლორთქიფანიძის მადლიანი კალამი!

ხაყურადღებოა, რომ მის ნაწერებში სპორტსაც გარკვეული ადგილი უჭირავს. განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ჭიდაობა და ჭადრაკი. თვითონ მწერალი კარგად თამაშობდა ჭადრაკს და შეჯიბრებების ხშირი სტუმარიც ყოფილა.

ვბეჭდავთ ნიკო ლორთქიფანიძის მინიატურას „ჭადრაკი" და ნაწყვეტს „ჟამთა სიავიდან".

# ნაწყვეტი „ჟამთა სიავიდან"

— ძაან ჩაჯიკვინებული ბიჭი კია... — გამოესარჩლა მეორე.

— რა ჩოჩქოლია მანდ? — იკითხა იულონმა.

— არაფერი, ბატონო...

— რავა არაფერი?

— ერთი პატარა ბიჭია და თქვენს თავს ფიცულობს, ვინც უნდა მეჭიდოს, წავაქცევო.

— რომელია?

— გოგიელა, ბატონო.

— ვინ გოგიელაა?

— ჯიმშელეიშვილი, თქვენ ვერ იცნობთ, ბატონო, ყმაწვილია.

— თუ ტყუილა არ მიფიცებს, ერთი კაი ხანჯალს ვაჩუქებ...

ხანჯლის გაგონებაზე გოგიელა ჯიმშელეიშვილი კიდევ უფრო გაწითლდა.

— წამოდექი, ბატონს ეჩვენე, — შენიშნა ვიღაცამ. გოგიელა ადგა.

ყველამ დაკვირვებით დაუწყო ცქერა: დაბალი კისერი; მოკლე ცხვირი; ფეროვანი სახე; ქერა თმა; ბეჭი და წელი თითქმის ერთის სისხოსი და არაჩვეულებრივათ მსხვილი ხელ-მკლავი და წვივ-ფეხი... განირჩეოდა მთელი ხალხისაგან — ამ შავგვრემან, წერწეტა ადამიანებისაგან...

— აბა ვინ გამოდიხართ? — დაეკითხა იულონი ხალხს...

ხმას არავინ იღებდა.

ზოგიერთი თავს იმართლებდა:

— უწვერულვაშო ბიჭს როგორ შევებაო?

ზოგი კი გულში ფიქრობდა:

— რომ წამაქციოს, ვინ იცის მართლა დათვსა ჰგავს, ხომ მომეჭრა თავიო.

— ფირანა, შენც უარს ამბობ? შერჩა ხანჯალი ამ პატარას...

— თქვენი ნება იყოს, ბატონო! როცა ყმაწვილები დაგლახაკდენ, ისევ ბებერმა უნდა იფალავნოს...

სუფრიდან გადმოხტა ჭაღარაგარეული, მაღალი, მხარბეჭიანი კაცი.

ხალხი შემობრუნდა.

ზოგი ფეხზე დადგა:

— გაწიე, კაცო, თავი!

— მეც დამანახვე!

მერიქიფეები, ფარეშები თავ-თავის ადგილს შეჩერდნენ.

ზლაზვნით მოდიოდა გოგიელა, თითქოს მიწაშია ჩაჭედილი და ფეხების ამოღება უჭირსო.

ფირანამ სწრაფად გაიხადა ჩოხა და მიაგდო, ახალოხი გადიკაპიწა.

— შენც გაიხადე, ბიჭო!

— გაიხადე, მე სულელო, თვარა უფრო ადვილათ ჩაგჭიდებს ხელს.

— რა გავიხადო, რომ მეტი არაფერი მაცვია? — რაღაც ძაღლურათ შეჰყეფა გოგიელამ მრჩეველს.

ფალავნებმა ბატონების სუფრას თავი დაუკრეს.

ერთმანეთისკენ მიიწიენ.

ფირანა შეჩერდა და ზომვა დაიწყო, უფრო მოხერხებულათ რომ ჩაეკიდა ხელი; გოგიელას არაფერი გამოუანგარიშებია ისე პირდაპირ მივიდა და წელში შეუვარდა... დასწვდა და უნდოდა მუხლებზე ჩაეცეა მოპირდაპირე, მაგრამ ფირანა გადაიხარა, სწრაფად გადასრიალდა მხრებზე, ხელი ჩააყოლა ბეჭებს, მარძაყს და ჩაეჭიდა გოგიელას ფეხებს, გოგიელას წონასწორობა დაეკარგა და ფირანას ფეხებში ხელჩაკიდებული პირქვე დაეცა. ფირანა ზევით მოხვდა, მაგრამ ეტყობოდა ახალგაზრდა ბიჭს ზღაპრული ძალა ჰქონდა. ისე ადვილათ გადატრიალდა და ფირანას ისევ ზევით მოექცა.

ასე იყვნენ თავუკუღმა შებრუნებული. ფირანამ ვეღარ ასწია წელი, თუმცა მხოლოდ ფეხის ქვედა ნაწილი აკავებდა. მაგიერათ ვერც გოგიელა შებრუნდა, რომ ზურგის მაგიერად მკერდით დასწოლოდა მოწინააღმდეგეს.

ვერავინ გააშველა.

— ვინაა წაქცეული? — იკითხა იულონმა.

— მე ვარ, ბატონო, მე, ოღონდ უბრძანეთ ამ დათვის ბელს ამიშვას.

იულონმა ბიჭს ღვედში სტაცა ხელი და თრივე მოჭიდავე ზევით ასწია. გოგიელამ გაუშვა წაქცეული და გაკვირვებით მიაპყრო დასისხლიანებული თვალები იულონს.

— მჯობნის მჯობნი არ დაილევაო, — წაიბუტბუტა იქ მდგომმა გლეხმა.

— კაცო, რავა წიწილებივით აწია ორი კაცი, — დაუმატა მეორემ.

— მეც მაჭამა მაგასავით და, ვინ იცის, იქნებ მე სამივე ევიყვანო, — მწუხარე ღიმილით თქვა იქვე მდგომმა ძლიერ მაღალმა, კონკებში გამოხვეულმა ახალგაზრდამ, რომლის მოწყენილი, უსიცოცხლო სახე და მაგარი მსხვილი ნაკვთები მოწმობდენ შიმშილით შესუსტებულს ბუნებრივ ბუმბერაზობას.

— ხერხი არ იცი, შვილო, თვარა შენი მომრევი სპარსეთის ფაეხს არ ეყოლება, — გულნატკენათ უთხრა ფირანამ გოგიელას.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!

— რა ძალა ჰქონია... პირუკუღმა წააქცია.

— ჯერ კიდევ არ არის დავაჯკაცებული.

შავი ხანჯალი მიართვეს გოგიელას.

იქვე დაიკიდა. მას მერმე არც უჭამია და არც უსვამს... მთვრალი იყო სიხარულით... საკუთარი ხანჯალი... აწი კი წავა დათვზე.. ხელს უსვამდა... ცოტაზე ამოიღებდა, გაუშინჯავდა პირს, ისევ ჩააგებდა... ვერ ითმენდა — ერთი მთლად დაენახა და გაესინჯა.

იქვე მჯდომი დედაც ბედნიერი იყო. გოგიელა შეიქნებოდა ახალგაზრდა ბიჭების მეთაური და არა ერთი ნაპარავი თუ წანართმევი შეემატებოდა ღარიბ ოჯახს.

(1914-19).

# ჭადრაკი

წუხელის ჭადრაკს მივუჯექით. შენ დაკვირვებით თამაშობდი. მე უფრო შენს ხელებს დავცქეროდი. პაიკებს ლაზიერებში ვერ ვარჩევდი. დედოფალი კი მხვდებოდა თვალში. როცა ქიშს ეტყოდი მეფეს, არ ვფარავდი, ვიგვიანებდი. მიწყრებოდი — ჩქარაო!

დედოფალი ჩემმა მხედარმა აიყვანა. მაინც ვერ გავიმარჯვე. შენ მეფე დაიჭირე.

ამინ. წინააღმდეგი არ ვარ. მე დედოფალი მყავდეს, შენ მეფე წაიყვანე.

ჭადრაკის დედოფალი შენი ემბლემა იყო.

იქნებ, ჭადრაკის მეფეს ჩემს ემბლემათ სთვლიდი?

(1911).

# სათუთად ინახება...

დიდებული მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის ოჯახში აქამდეც სათუთად ინახება უნიკალური ჭადრაკის კომპლექტი. ეს ჭადრაკი გასული საუკუნის 50-ან წლებში მწერლის მამას — დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ მოსამართლეს მერაბ ლორთქიფანიძეს მიართვა მისი სოფლის წუნეშის მკვიდრმა გლეხმა, ვინმე ხაჭაპურიძემ, რომელმაც იცოდა ამ ძველისძველი თამაშით თავადის გატაცების ამბავი.

ქუთაისში მერაბ ლორთქიფანიძის სტუმართმოყვარე და პურადი ოჯახი მოწინავე ქართველების თავშეყრის ადგილი ყოფილა. მას ერთხელ სტუმრად თვით ილია ჭავჭავაძეც სწვევია. მოხიბლულმა პოეტმა მასპინძელს ლექსი უძღვნა.

სწორედ ამ ჭადრაკით ეპაექრებოდა მერაბი თავის ღვიძლ მეგობრებს — სვანეთის უკანასკნელ მთავარს მურზაყან დადეშქელიანს, აკაკი წერეთელსა და მამამისს როსტომს, ნიკო დადიანს (მწერალ შალვა დადიანის მამას), კოტე მაყაშვილს და სხვებს.

ნიკო ლორთქიფანიძემ ჭადრაკს ჭაშნიკი ამ კომპლექტით აუღო და დიდად შეიყვარა ეს თამაში. რა თქმა უნდა, მას ეამაყებოდა ამ ისტორიული ჭადრაკით პაექრობა მეგობრებთან — რევოლუციონერ ა. წულუკიძესთან, პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, აკადემიკოს ს. ჩოლოყაშვილთან და სხვებთან.

ლორთქიფანიძისეული ჭადრაკი (სურათზე მხოლოდ რამდენიმე ფიგურაა) წმინდა ქართულია. ჩვენი ერის საჭადრაკო ფიგურებისთვის დამახასიათებელია სფერული ფორმა და კონცენტრული წრეხაზები. სწორედ ამ ყაიდის ფიგურებს (სამს) მიაგნო აკად. ივ. ჯავახიშვილმა დმანისის 1937 წლის გათხრების დროს. იგივე სტილია დაცული XVIII საუკუნის ჭადრაკის კომპლექტში, რომელიც სამხატვრო აკადემიის პროფესორ დ. ციციშვილის ოჯახში ინახება. ვფიქრობთ, რომ ქართული ფიგურების ფორმა ქართულ ორნამენტებთან, არქიტექტურასთან და ალბათ ასტროლოგიასთანაც კავშირში უნდა იყოს. ეს საკითხი თავის მკვლევარს მოელის.

როგორც ჩანს, წუნეშელ გლეხს უნახავს მამაპაპეული ქართული ჭადრაკის ფიგურები და ეს კომპლექტიც მათი მიმსგავსებით გამოუჩარხავს.

თ. გიორგაძე.



## ჩვენი სოხუმელი კორესპონდენტი გ. იაშვილი გვატყობინებს:

# საიმედო ცვლა

სოხუმის „სპარტაკის" სპორტდარბაზში მოეწყო საქართველოს პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ავტონომიური რესპუბლიკების, ქალაქებისა და რაიონების უძლიერესი სპორტსმენები.

გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონობა თბილისის ძლიერმა კოლექტივმა მოიპოვა. II ადგილი დაიკავეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა, III — აჭარის სპორტსმენებმა.

ტურნირმა ბევრი ნიჭიერი მოჭიდავე გამოავლინა. მათგან შეიძლება დავასახელოთ ქაშიბაძე, ლვინჯილია, ლაბარტყავა, მარშანია (ყველა — აფხაზეთი), კუნჭულია, ცანავა, გოგნაძე (ყველა — აჭარა), მემანიშვილი (ზესტაფონი), მაისურაძე (ონი), ბენდიანიშვილი, გაგუა. მოჯვრიშვილი (ყველა — თბილისი) და სხვ.

გთავაზობთ ჩემპიონატის პრიზიორთა სიას:

**უმჩატესი წონა.** 1. ქაშიბაძე, 2. აფსავა (ორივე — აფხაზეთი), 3. აბესაძე (თბილისი).

**მჩატე.** 1. კუნჭულია (აჭარა), 2. ჩხეიძე (თბილისი), 3. ბოგაჩოვი (აფხაზეთი).

**ქვემსუბუქი.** 1. ლეგაშვილი, 2. ზ. ილურიძე (ორივე — თბილისი), 3. ლვინჯილია (აფხაზეთი).

**მსუბუქი.** 1. გოგიჩაიშვილი (აჭარა), 2. გაგუა, 3. მოჯვრიშვილი (ორივე — თბილისი).

**პირველი ქვესაშუალო.** 1. ცანავა (აჭარა), 2. ლაბარტყავა (აფხაზეთი), 3. კილაძე (თბილისი).

**მეორე ქვესაშუალო.** 1. სუთიაშვილი, 2. თედეევი (ორივე — თბილისი), 3. კიკაბიძე (სამტრედია).

**პირველი საშუალო.** 1. ა. ილურიძე (თბილისი), 2. ჭელიძე (აფხაზეთი), 3. მაისურაძე (ონი).

**მეორე საშუალო.** 1. ცნობილაძე (თბილისი), 2. მარშანია (აფხაზეთი), 3. გოგლიჩიძე (ქუთაისი).

**ქვემძიმე.** 1. ნიკურაძე, 2. ბენდიანიშვილი (ორივე — თბილისი), 3. მემანიშვილი (ზესტაფონი).

**მძიმე.** 1. გოგნაძე (აჭარა), 2. გოცირიძე (თბილისი), 3. ბალათელია (აფხაზეთი).

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: მძიმე წონის პრიზიორთა — ბალათელიას (ზემოდან) და გოგნაძის შერკინების მომენტი.

გ. იაშვილის ფოტო.



# აბსოლუტური ჩემპიონი

ჩატარდა აფხაზეთის პირადი პირველობა ველოსპორტში. 25 კილომეტრზე ინდივიდუალური რბოლა მოიგო პირველთანრიგოსანმა ვ. ოსინსკიმ. მომდევნო ადგილები თანმიმდევრულად დაიკავეს ა. ჯლარკავამ და ა. ნარსიამ.

შემდეგ მონაწილენი 80-კილომეტრიან ჯგუფურ რბოლაში ასპარეზობდნენ. ველოსიპედისტებმა სტარტი სოხუმში აიღეს და გუდაუთის გავლით უკან დაბრუნდნენ. I ადგილი დაისაკუთრა სპორტის ოსტატმა ნ. დემჩუკმა, მეორე იყო ა. მურადიანი, მესამე — ჯლარკავა.

ორი სახეობის ჯამში აფხაზეთის ჩემპიონის სახელი ველოსპორტში გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მუშამ დემჩუკმა მოიპოვა. II ადგილი წილად ხვდა ჯლარკავას (გულრიფშის რაიონი), III — სოხუმელ ოსინსკის.

დაწესებული იყო ორი სპეციალური პრიზი. აფხაზეთის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის პრიზი სამთო ეტაპებზე საუკეთესო შედეგისთვის გადაეცა დემჩუკს. ყველაზე ახალგაზრდა ველოსიპედისტმა, სოხუმის ბავშვთა № 1 სპორტსკოლის წარმომადგენელმა ვ. დოგომუკოვმა მიიღო ჯილდო მტკიცე ნებისყოფისთვის.

დაკომპლექტდა აფხაზეთის ნაკრები, რომლის მწვრთნელად სპორტის ოსტატი ა. გუძი დაინიშნა. ნაკრების შემადგენლობაში მოხვდნენ სპორტის ოსტატები ჯლარკავა, დემჩუკი, პირველთანრიგოსნები ოსინსკი და ნარსია.

# ალმა-ათასა და ბაქოში

დაიწყო წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეჯიბრებები.

ალმა-ათაში გამოდიან ადგილობრივი, მოსკოვისა და თბილისის „დინამოს", მოსკოვის უნივერსიტეტისა და მოსკოვის ოლქის „ლოკომოტივის" წყალბურთელები. ბაქოში ასპარეზობენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბის, მოსკოვის „ტორპედოს", ლენინგრადის „ბალტიკის", კიევის „დინამოსა" და ბაქოს წითელდროშოვანი კასპიის ფლოტილიის სპორტსმენები.

ალმა-ათაში შეჯიბრების ლიდერმა — მოსკოვის „დინამომ" სძლია მასპინძელ თანაკლუბელებს — 6:2, ხოლო თბილისის დინამოელები დამარცხდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდთან — 2:5. მეორე დღეს თბილისელებმა გაიმარჯვეს მოსკოვის ოლქის რკინიგზელებთან შეხვედრაში — 7:3, ხოლო ალმაათელები კვლავ დამარცხდნენ მოსკოველ სტუდენტებთან მატჩში — 3:4.

ბაქოში მოსკოვის არმიელებმა სძლიეს თანაქალაქელ ტორპედოელებს — 6:3, ხოლო კიევის დინამოელებმა — ლენინგრადის „ბალტიკას" — 6:5.

# სპორტული ოქტომბერი

ოქტომბერი ბევრ საინტერესო შეჯიბრებას გვპირდება. გთავაზობთ მათგან უმთავრესს.

### აკადემიური ნიჩბოსნობა

16-18. სსრ კავშირის პირადი პირველობა ახალგაზრდებში (კიევი).

### აფროსნობა

4-12. საკავშირო შეჯიბრება (სევასტოპოლი).

### ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობა

8-11. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ზუგრესი, დონეცკის ოლქი).

### ველოსპორტი

4-6. სსრ კავშირის თასი (ტრეკი). ფინალური შეჯიბრება (ერევანი).
15-27. სსრ კავშირის ჩემპიონატი. მრავალდღიანი ველორბოლა (უზბეკეთი).
17-20. იუნიორთა საკავშირო პირველობა გზატკეცილზე (თბილისი).

### თავისუფალი ჭიდაობა

9-11. სსრ კავშირის თასი (ლენინგრადი).
28-31. საერთაშორისო შეჯიბრება. მონაწილეობს სსრ კავშირის ნაკრები გუნდი (ირანი).

### თანამედროვე ხუთჭიდი

9-14. სსრ კავშირის გუნდური ჩემპიონატი (ერევანი).

### მაგიდის ჩოგბურთი

12-13. ევროპული ლიგის პირველობა (უნგრეთი).
23-26. ევროპული ლიგის პირველობა (ავსტრია).
30. X-2. XI. საკავშირო შეჯიბრება. ფინალი (კაუნასი).

### მშვილდოსნობა

27. X-1. XI. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ლენინაკანი).

### მძლეოსნობა

4. საერთაშორისო შეჯიბრება (სოჭი).
4. საერთაშორისო შეჯიბრება მარათონულ რბენაში. მონაწილეობენ რსფსრ-სა და უკრაინის ნაკრები გუნდების სპორტსმენები (ჩეხოსლოვაკია).
9-11. სსრ კავშირის თასი „ა" ჯგუფის გუნდებს შორის (ტაშკენტი).
10-11. საერთაშორისო შეჯიბრება — „ლუგანოს თასი" (გფრ).
16-18. სსრ კავშირის თასი „ბ" ჯგუფის გუნდებს შორის (კრასნოდარი).

### მხატვრული ტანვარჯიში

10-11. სსრ კავშირის თასი (ტაშკენტი).

### რეგბი

4-8. სსრ კავშირის ჩემპიონატი I ჯგუფის გუნდებს შორის (მოსკოვი).

### სასტენდო სროლა

16-25. მსოფლიო ჩემპიონატი (აშშ).

### ტანვარჯიში

22-27. მსოფლიო ჩემპიონატი (იუგოსლავია).
31. X-4. XI. გოგონათა და ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი (ლენინგრადი).

### ტყვიის სროლა

16-25. მსოფლიო ჩემპიონატი (აშშ).

### ფარიკაობა

31. X-1. XI. დაშნით მოფარიკავეთა საერთაშორისო შეჯიბრება. მონაწილეობს უკრაინის ნაკრები (რუმინეთი).

### ფეხბურთი

11. სსრ კავშირის თასი ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის. ფინალი (ჩერნოვცი).
28. სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ეროვნული გუნდების მატჩი (მოსკოვი).

### ფიგურული ციგურაობა

24-25. საერთაშორისო შეჯიბრება სპორტულ ცეკვებში (ტალინი).

### შაში

16-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი რუსულ შაშში. ვაჟთა ნახევარფინალური შეჯიბრება (ბელცა), ქალთა ფინალური შეჯიბრება (ტირასპოლი).
16. X-2. XI. სსრ კავშირის ჩემპიონატი ასუჯრიან შაშში (კალინინგრადი, კისლოვოდსკი, ხარჩიკი).

### ჩოგბურთი

4-11. სსრ კავშირის ჩემპიონატი (ალმა-ათა).

### ცალოსნობა

27-30. იუნიორთა საკავშირო პირველობა (ვოლოგდა).

### წყალბურთი

4-5. სსრ კავშირის ჩემპიონატი II წრე, I ტური (ალმა-ათა, ბაქო).
25-30. სსრ კავშირის ჩემპიონატი II წრე, II ტური (მოსკოვი).

### ჭადრაკი

30. X-10. XI. სსრ კავშირის ჭაბუკთა შეჯიბრება დიდოსტატთა მონაწილეობით საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე (სოჭი).

### ხელბურთი

7-15. სსრ კავშირის ჩემპიონატი ქალთა შორის. თამაშები I-VIII ადგილებისთვის (ლუცკი).
17-25. სსრ კავშირის ჩემპიონატი ვაჟთა შორის. თამაშები I-VIII ადგილებისთვის (გლაზოვი).

### ჰოკეი

8 და 10. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი. „სპარტაკი" — ცსკა (მოსკოვი).

# მე საქაგელი, ბოროტი სტაილზი

ნობი სტაილზი — ინგლისის ფეხბურთელთა ეროვნული გუნდის განთქმული „მოპიკირე თავდამსხმელი" — იტანჯება. ჩვენ ვფიქრობდით, რომ იტანჯებოდნენ ისინი, ვისაც ნობისთან შეჯახება უხდებოდა. ყოფილა კი პირიქით: ტკივილებისგან სწორედ სტაილზი წვალობს, ვინაიდან ლმობიერი სული აქვს.

„არ მესმის, — ამბობს ნობი, — იმ კამპანიის მიზეზი, რომელიც ჩემს დამცირებას ისახავს მიზნად. ხანდახან ხდება, ვინმეს მოვარტყამ, ეს მეც ვიცი, მაგრამ მერწმუნეთ, ჩემი მიზანი მუდამ მხოლოდ ბურთზე ფეხის მორტყმაა".

ნობი სტაილზი ტანმორჩილია, საოცრად დრამატული გამომეტყველება აქვს. როცა ლაპარაკობს, ხელს გულზე მიიდებს და ისეთ სახეს იღებს, გეგონება ეს-ეს არის შეატყობინეს, სახლი დაგეწვა, ან „მანჩესტერიდან" გაგრიცხესო.

„უნდა დამიჯეროთ, სერ, მე ისეთი კაცი ვარ, ჭიანჭველას ფეხს არ დავადგამ. და თუ წაქცეულ მეტოქეს იმავე წამს არ ვეხმარები, მხოლოდ იმიტომ, რომ მუდამ მაშინებს გულწასული ადამიანის დანახვა. თქვენ წარმოიდგინეთ, სერ, ინგლისის ჩემპიონატში ჩემზე უხეში ფეხბურთელებიც გამოდიან, მაგრამ მათ დახვეწილი გარეგნობა აქვთ და ამიტომ ყოველგვარი უხეშობის ჩადენის უფლება ეძლევათ. მე კი არა ვარ ასეთი ნატიფი და ამაოდ ვცდილობ დავხვეწო ჩემი გარეგნობა. ყოველთვის, როცა კი მეტოქის მიმართ ზრდილობიანი მინდა ვიყო, ტრიბუნებიდან მიყვირიან: „ყოჩაღ, მარგარეტ!" მარგარეტი, სერ, პრინცესის სახელია, რომელსაც დიდ პატივს ვცემ, მაგრამ იგი ხომ ქალია. არ მიყვარს, როცა მდედრობით სქესში მიხსენიებენ."

ნობი სტაილზს, რომელსაც ზოგჯერ „ქირურგსაც" უწოდებენ, უდავოდ არასრულყოფილობის კომპლექსი აქვს. სტაილზის საშინელი დინამიზმის მარაგი, თანაგუნდელთა აზრით, მისი დაბალი ტანის შედეგია. ყოველი მატჩი, ბესტის აზრით, ნობისთვის დავითისა და გოლიათის ბრძოლაა. „ნობი, — ამბობს ბობი ჩარლტონი, — გასახდელიდან ისე გამოდის, თითქოს კორიდაზე მიეჩქარება. ხოლო მეტოქეები ფეხბურთელები კი არ არიან, არამედ პიკადორები და ბანდერილიეროები".

„ეს ისტორია, სერ, დაიწყო „ლიდსის" დუბლიორებთან საწვრთნელი მატჩის დროს, — იგონებს სტაილზი და თან ხელი ისევ გულთან მიაქვს, სახეს კი უსიამოვნო ალმური ედება. ჩვენ „ლიდსის" დუბლიორებთან ვთამაშობდით, როცა ხმამაღალი ტკაცანი გავიგონე. ის ხმა ჩემი უშუალო მეტოქის ფეხმა გამოსცა. არავითარი წინასწარი განზრახვა არა მქონია. იყო ჩვეულებრივი შეჯახება, როგორიც მატჩის დროს ხშირია. შემდეგ დაშავებული ფეხბურთელი საავადმყოფოში ვინახულე, თან ყვავილები და წერილი შევუგზავნე. იმ ფეხბურთელს მაკ დუგალი ერქვა. მალე დუგალისგან პასუხი მივიღე: „ძვირფასო ნობი, ამჟამად ვფიქრობ, რომ უსინდისო ხარ, შემდეგ კი ალბათ უარესსაც ვიფიქრებ. ხელახლა როცა შევხვდებით, არ დაგავიწყდეს მკითხო, რას ვფიქრობ შენზე". წარმოგიდგენიათ? — უნდა ვკითხო, რას ფიქრობს ჩემზე. მე, სერ, ოდნავ დაშინებულიც ვარ".

„მისტერ სტაილზ, ფეხბურთის გარდა რა საქმით ხართ დაკავებული? სულ მუდამ საავადმყოფოებში ხომ არ გზავნით წერილებს?"

„ო, რა თქმა უნდა, არა, სერ. ძალიან მიყვარს უცხო ენების შესწავლა. კიზიერა უნა კახა დე სერილიას. ეს ესპანურია. იცით, რას ნიშნავს? — მე მინდა ასანთის კოლოფი. ახლა კი ამას დაუგდეთ ყური: ვანილნოე მოროჟენოე. ეს რუსულია, სერ, და ვანილის ნაყინს ნიშნავს. კარგია, არა? ცოტა თურქულიც ვიცი. მაგალითად: კადიმ. ეს — ძველია, კაფა კი თავს ნიშნავს, კადინ — ქალს. უცხო ენების ცოდნა ძალიან სასარგებლოა. მთელ თავისუფალ დროს ენების შესწავლას ვანდომებ. ყველა ინგლისელმა არბიტრმა როდი იცის თურქული. უფრო მეტიც, ვფიქრობ, რომ ეს ენა საერთოდ არავინ იცის".

„კონტინენტური ევროპის ჟურნალისტთა შორის ჩატარებულმა რეფერენდუმმა თქვენ ფეხბურთის მინდორზე პირველი „ძვლების მკვნეტელის" ტიტული მოგანიჭათ".

„სამწუხაროა, სერ. ეს ჟურნალისტები არც მიცნობენ. მე არასდროს არა მაქვს ბოროტი განზრახვა. ჰკითხეთ ჩემს თანაგუნდელებს. მე უხეში თამაშის მტერი ვარ. უნდა შეწყდეს ღვარძლიანი თავდასხმა ჩემზე. ლონდონის გაზეთებში ხშირად წერენ: ბავშვებმა ცუდი მაგალითი რომ არ გადაიღონ, ნუ წაიყვანთ მათ სტადიონზე, როცა სტაილზი თამაშობსო. იცით, რა მიზანს ისახავენ ისინი?"

„რა მიზანს?"

„ჩემი განიარაღება სურთ".

„მოქმედებს ეს თქვენზე?"

„პირიქით, ძალა მიორკეცდება. ფაქტია, რომ ჩემი ეშინიათ. მე სერიოზულად ვასრულებ ჩემს ხელობას. ჩემზე წერდნენ: ინგლისმა მეხიკოში იმიტომ არ ათამაშა სტაილზი, რომ ამდენი ხათაბალის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონს არ სურდა თავის შემადგენლობაში მკვლელი ჰყოლოდაო. სწორედ ასე მიწოდეს — მკვლელი. როცა ამას ვიხსენებ, ტირილი მინდა. მე ცუდად ვგრძნობდი თავს, დაშავებული ვიყავი და ამიტომაც არ გამოვედი მინდორზე. უბრალოდ, არ გამიმართლა. „ფუ მალა სუერტე", — როგორც ესპანელები იტყვიან".

„ამბობენ, როცა პასუხსაგები მატჩის წინ აცხადებთ თავს კარგად ვგრძნობო, მინდვრის მახლობლად საკაცეებს იმარაგებენ".

„ვერ წარმოიდგენთ, რამდენჯერ გავუტანივართ საკაცით. ვინაიდან ნობი ცუდია, მას ყველა უხეშად ეთამაშება. მაგრამ იგი სხვებზე ძლიერია. საქმე ისაა, რომ მე ათლეტი ვარ, თუმცა ეს გარეგნულად არ ჩანს. ვთამაშობ ათლეტივით და არა გოგონასავით. ხოლო ის, ვინც გოგონასავით თამაშობს, ზიანს ვერ მომაყენებს. აი, რაშია ჭეშმარიტება".

„არის თუ არა ფეხბურთელი, რომლისთვისაც არაფერი დაგიშავებიათ?"

„მე ყველასთვის სიკეთე მინდა, მაგრამ ერთი მოთამაშე ყველაზე მეტად მიყვარს. ეს არის ძვირფასი ჯორჯი, ჯორჯ ბესტი".

„როცა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრებთან თამაშობთ, ვგონებ არც მას ინდობთ".

„ვინ გითხრათ?"

„საწყალმა ჯორჯმა".

„მაგრამ ის ხომ ძმასავით მიყვარს. ჩვენ ხშირად ვართ ერთად. ერთხელ მან მთხოვა თავის მაღაზიაში ახალი პერანგების მთელი სერია შემესყიდა. მე ეს არ მწყენია. ახალი წლის წინ ბესტმა პიჯაკი მაჩუქა, ადმირალ ნელსონს რომ ჰქონდა ისეთი, ათასნაირი ზიზილ-პიპილებით. ამის მიუხედავად, ბესტი მაინც მიყვარს. მართალია, ზოგჯერ მის წინააღმდეგ მკაცრად ვთამაშობ, მაგრამ აბა, რა ვქნა, ჩვენს კართან ხომ ვერ მივუშვებ? ბესტმა რომ გოლი გაიტანოს, რა სანახავი ვიქნები? გახსოვდეთ: გოლი რომ გაიტანო, ნობი სტაილზს უნდა აუარო გვერდი, ეს კი, სერ, გარწმუნებთ, არც ისე იოლია".

„ქედს თუ იხრით ვინმეს წინაშე?"

„ინგლისის დედოფლის, სერ, და ედინბურგის ჰერცოგის წინაშე. მაგრამ ისინი ფეხბურთს არ თამაშობენ. ქედს ვიხრი აგრეთვე ბავშვების წინაშე, მაგრამ არა მგონია, რომ ოდესმე მომიხდეს მათთან თამაში. ასე რომ იყოს, იმის შიშით, რომ ვინმეს ზიანი არ მივაყენო, ზედმეტ ნაბიჯსაც ვერ გადავდგამდი. ქედს ვიხრი ქალების წინაშე. მე აღტაცებული ვიყავი ვივიენ ლის ლამაზი თვალებით და, ვფიქრობ, მას ჩვენს კართან გასვლის ნებას მივცემდი იმდენჯერ, რამდენჯერაც თავად მოისურვებდა. მაგრამ ვივიენი, ნაზი ქმნილება, ფეხბურთისთვის არ იყო დაბადებული. მე კი ფეხბურთისთვის ვარ შექმნილი, ფეხბურთისთვის დაბადებული. ის, ვინც ფეხბურთისთვისაა დაბადებული, სერ, ფოლადისგან უნდა იყოს ჩამოსხმული. განა ჩემი ბრალია, რომ ფოლადის ადამიანი ვარ?".

ჯანი რანიერი.
(„პაეზე სერა").

იტალიურიდან თარგმნა
მ. ბარამიამ.



უდავოა, რომ მინი-მანქანას, მინი-ველოსიპედს ან მინი-კალათბურთს დღეს ისეთივე გამართლება აქვს, როგორიც თავის დროზე გიგანტურობით გატაცებას ჰქონდა. მინი-ავტომანქანას თანამედროვე ქალაქში ბევრი უპირატესობა ენიჭება ჩვენი საუკუნის 30-ანი წლების გიგანტური ზომის მანქანებთან შედარებით. მინი-კალათბურთის სიცოცხლისუნარიანობაც დღეს აღიარებული და დამტკიცებული ფაქტია.

მაგრამ ამ გატაცებას ზოგჯერ მოდის ხასიათი ეძლევა, იგი აუცილებლობით გამოწვეული არ არის და ამიტომაც ნაკლებად ეფექტურია. მაგალითად, უცხოეთში, კერძოდ კი იტალიაში, ერთხანს გატაცებული იყვნენ მინი-თხილამურებით, მაგრამ ამ სიახლემ, როგორც ჩანს, ვერ გაუძლო გამოცდას. ჩვეულებრივი თხილამურებით სრიალი გარკვეულ კავშირშია აეროდინამიკის კანონებთან და თხილამურების ზომის ხელოვნურად შემცირება ამ კანონთა ერთგვარი დარღვევაა. ალბათ ეს იყო მიზეზი, რომ მინი-თხილამურებმა ვერ დააინტერესა სპორტის ამ დარგის სპეციალისტები. ეს სიახლე მხოლოდ მოდის თავისებურ გამოძახილად დარჩა.

ს უ რ ა თ ზ ე: მემანეკენეები რეკლამას უკეთებენ მინი-თხილამურებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 8 უე 04427